Erasmus+ KA171 სტუდენტური მობილობის შესაძლებლობა კარადენიზის ტექნიკური უნივერსიტეტი (თურქეთი)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, მიიღონ მონაწილეობა Erasmus+ KA171 სტუდენტურ მობილობის პროგრამაში 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის, კარადენიზის ტექნიკური უნივერსიტეტი (Karadeniz Technical University, KTÜ), თურქეთში.

პროგრამის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება კარადენიზის ტექნიკური უნივერსიტეტის კოორდინირებით, თსუ-დან შეირჩევა ერთი სტუდენტი და მიიღებს შესაბამის გრანტს თურქეთში სასწავლებლად.

მიმართულებები:

- კომპიუტერული მეცნიერებები
- ელექტრონიკა და საკომუნიკაციო ინჟინერია
- საჯარო ადმინისტრირება
- რუსული ენა და ლიტერატურა
- ისტორია
- საერთაშორისო ურთიერთობები
- პროგრამული ინჟინერია

გრანტი შესახებ ინფორმაცია:

- მხარდაჭერა: 4,000 ევრო
- მგზავრობის გრანტი: 211 ევრო
- საერთო თანხა: 4,211 ევრო

(5-თვიანი მობილობის პერიოდისთვის)

კონკურსი და შერჩევის პროცედურა:

სტუდენტთა შერჩევა განხორციელდება კარადენიზის ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ, Erasmus+ პროგრამის სახელმძღვანელოსა და ევროპის კომისიის შერჩევის კრიტერიუმების შესაბამისად, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვით.

პროგრამაში მონაწილეობის სურვილის მქონე თსუ სტუდენტებმა უნდა შეავსონ ონლაინ განაცხადი ბმულზე.

განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა 2025 წლის 28 ნოემბერი, 16:00 (თურქეთის დრო - GMT+3)

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ კარადენიზის ტექნიკური უნივერსიტეტის ოფიციალური განცხადება.